



მზადება 2013-2014 წ.წ. ახალი სეზონისთვის

მაუწყებლობის შესახებ კანონის და სამეურვეო საბჭოს მიერ დადგენილი პრიორიტეტების გათვალისწინებით, შემუშავდა საზოგადოებრივი მაუწყებლის 2013-2014 წ.წ. საეთერო სეზონისთვის ახალი სამაუწყებლო ბადე, მომზადდა არხის შეფუთვის კონცეფცია: ახალი ლოგო, ფერი და ტიხრები.

2013-2014 წ.წ. სამაუწყებლო ბადე ითვალისწინებს 25 გადაცემის ეთერში ეტაპობრივად განთავსებას:

- პირველად საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში გავა სოციალური თოქ-შოუ, სადაც გაშუქდება კონკრეტული ადამიანების კონკრეტული ისტორიები და მათი პრობლემების გადაწყვეტის გზები;
- პირველად ეთერში ეთერი უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების ცხოვრებას; მათ სატკივარს და გასაჭირს. პროექტი „გზა შენამდე“ ორიენტირებულია სოციალურ საკითხებზე;
- მრავალწლიანი პაუზის შემდეგ ეთერში გავა ჟურნალისტური გამოძიება;
- კვირაში ოთხჯერ პოლიტიკური თოქ-შოუ;
- კვირის ანალიტიკური შემაჯამებელი გადაცემა - “კვირის რეპორტიორი”;
- მრავალწლიანი პაუზის შემდეგ ეთერში გავა სამხედრო პატრიოტული თემატიკის გადაცემა. ამ პროექტში დიდი ადგილი დაეთმობა ნატოს საქმიანობის ჩვენებას;
- გადაცემა საქართველოს რეგიონებსა და იქ არსებულ ვითარებაზე;
- შემეცნებით-გასართობი გადაცემები:
 - ინტელექტუალური გეიმ-შოუები;
 - საბავშვო თამაში;
 - ქართული ორიგინალური ტელესერიალი;
 - ინტელექტუალური კინო;
 - ახალგაზრდული შემეცნებითი გადაცემები;
 - დაწყებულია ინტელექტუალური მეგაპროექტი „ჩემი წიგნი“, საზოგადოებას ეძლევა ცნობილი ლიტერატურული ტექსტების და ლიტერატურული გმირების გამოვლენის საშუალება;
- მუსიკალური პროექტები:
 - პოპულარული პროექტი “მაესტრო”;
 - მუსიკალური მეგა-შოუ, რომელიც ემსახურება არამარტო საზოგადოების გართობას, არამედ ითავსებს საგანმანათლებლო ფუნქციას;
- ახალი გეგმა და სტრატეგია საზოგადოებრივი მაუწყებლის დოკუმენტური ფილმების სტუდიისგან;
- გრძელდება პოპულარული პროექტი „წითელი ზონა“, განახლებული ფორმატით წარმოდგენილი იქნება „ჩვენი ეზო“ და „ჩვენი ფერმა“;
- განახლდა მეორე არხი, მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაცემებით და სტუდიებით. ქართულენოვანი „მოამბის“ პარალელურად, 20:00 საათზე, ნაციონალური „მოამბე“ მაუწყებლობს 5 ენაზე, წამყვანით, სიუჟეტებით და რეპორტაჟებით;

- საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გამოაცხადა ტენდერი გადაცემების შესყიდვაზე, რის შედეგადაც გარე სტუდიებს საშუალება მიეცა აქტიურად ჩაერთონ საზოგადოებრივი მაუწყებლის საეთერო ბადის შექმნაში;
- მაუწყებელში დამუშავდა და სამაუწყებლო ბადეში განსათავსებლად მომზადდა არქივში დაცული უნიკალური პროდუქცია - სპექტაკლები, კონცერტები, სადამოებო, კინო-პროდუქცია და ა.შ.
- საზოგადოებრივი მაუწყებელი პირველი და ერთადერთი მედიასაშუალებაა, რომელიც გახდა Google-ის ოფიციალური პარტნიორი. მაუწყებელი უფლებამოსილია, გამოიყენოს Google-ის პროდუქტების სრული პაკეტი;
- საზოგადოებრივი მაუწყებელი ახორციელებს უნიკალურ სოციალურ პროექტს - თქვი.ge, რომელიც მოქალაქეებს აძლევს შანსს, ფართო აუდიტორიას გააგებინოს საკუთარი მოსაზრება ნებისმიერ თემაზე;
- ფინანსური გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად მაუწყებლის ახალმა მენეჯმენტმა დაიწყო ყოველთვიური საკასო ხარჯების გამოქვეყნება;
- მაუწყებლის მიერ ევროპის მაუწყებელთა კავშირის მიმართ წინა წლებში დაგროვებული დიდი მოცულობის ვალის (3,922,167 ლარი) გამო მაუწყებელს ედო სანქცია, რაც გულისხმობდა EBU-გან (ევროპის მაუწყებელთა კავშირის) საინფორმაციო სამსახურისთვის ახალი ამბების სიგნალისა და ჩართვების მიწოდების შეწყვეტას. არსებობდა საშიშროება, რომ დაკისრებოდა დამატებითი სანქცია, რაც გულისხმობდა სპორტის ყველა სახეობის სიგნალის მოწოდების შეწყვეტასა და ევროვიზიის ჩვენების უფლების გაუქმებას. ეს კი ეთერის პარალიზების წინაპირობას წარმოადგენდა, თუმცა მიმდინარე წელს მენეჯმენტის მიერ წარმოებული მოლაპარაკების, ყველა მიმდინარე ვალდებულების ზედმიწევნით პირნათლად შესრულების და წინა წლებში დაგროვებული დავალიანების გადახდის შედეგად, მაუწყებელს ევროპის მაუწყებელთა კავშირმა მოუხსნა ყველანაირი სანქცია (2013 წელს გადახდილია 616,854 ლარი, 2014 წლისთვის დაგეგმილია არსებული დავალიანების სრულად დაფარვა, რაც 3,305,313 ლარს შეადგენს).
- მენეჯმენტის მიერ ფინანსური რესურსების მართვის შედეგად, 2013 წლის ადმინისტრაციული ხარჯები წინა წელთან შედარებით საშუალოდ თვეში 45%-ით შემცირდა;
- მაუწყებლის მენეჯმენტი მიმდინარე წელს პირნათლად ასრულებს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების შესრულებას, რამაც 8 თვის განმავლობაში 616,963 ლარი შეადგინა;
- 2013 წელს მაუწყებლის მიერ წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვის ხარჯმა 9,257,000 ლარი შეადგინა, რაც 2013 წლის ბიუჯეტის 29% შეადგენს;
- სამეურვეო საბჭოსთვის წარსადგენად მომზადდა დეტალური ბიუჯეტის პროექტი, რომელიც ზუსტად ასახავს მომავალი საქმიანობის ხარჯებს.